

შპს კერა +
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს კერა +
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო
საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „კერა“-ის („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
 - თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2025 წლის 31 ივლისს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „კერა +“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

ორგანიზაცია „კერა+“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 205219351, რეგისტრაციის თარიღი 23/08/2007. იურიდიული მისამართი- საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, კეკელიძის ქ., №25,ბ. 9. კომპანიის დამფუძნებელი ირაკლი იმერლიშვილი (01008011382) – 100%, დირექტორი - ირაკლი იმერლიშვილი (01008011382). შპს „კერა +“-ის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სამშენებლო სფეროსთან.

კომპანია ადრეულ წლებში აშენებდა საცხოვრებელ კორპუსებს და შემოსავლებს აშენებული საცხოვრებელი ბინების რალიზაციიდან იღებდა. ბოლო წლებში კომპანიის საქმიანობის ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია სხვა ორგანიზაციების მიერ დაკვეთით სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, ასეთი კომპანიას არ გააჩნია.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ავდის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

საწარმო თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და ხარჯებს აღიარებს სახელსეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ავალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციაზე ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში. არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს კომპანია - ქართულ ლარში.

შპს კერა +
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
		2024	2023	2022
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	431 872.03	28 657.03	5148.14
სავაჭრო მოთხოვნები	2	882 952.47	774 777.37	195388.42
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	4 397.97	53 898.59	5594.77
მარაგები	4	504 421.84	583 874.87	501643
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4.1	918.97	0.00	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 824 563.28	1 441 207.86	707774.33
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	350 735.69	299 263.54	282 724.15
სხვა გრძელვადიანი აქტივები(სესხი)	6	271 451.90	79 615.18	64 991.27
სულ გრძელვადიანი აქტივები		622 187.59	378 878.72	347 715.42
სულ აქტივები		2 446 750.87	1 820 086.58	1 055 489.75
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	7		19 626.04	
სავაჭრო ვალდებულებები	8	15 991.60	21 531.76	105 450.65
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	9			6 000.00
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	10			194.50
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11			
საგადასახადი ვალდებულებები	12	13 892.07	95 434.99	78 926.05
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13			4 591.00
სხვა ვალდებულებები				219.39
სულ ვალდებულებები		29 883.67	136 592.79	195 381.59
სულ ვალდებულებები		29 883.67	136 592.79	195 381.59
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	14	182.15	182.15	182.15
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2 416 685.05	1 683 311.34	859 926.00
სულ საკუთარი კაპიტალი		2 416 867.20	1 683 493.49	860 108.15
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 446 750.87	1 820 086.28	1 055 489.74

საქმიანობის შედეგები

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები
2023-2024 საანგარიშო პერიოდი

		2024	2023
მომსახურების გაწევიდან	15	4 051 345.89	2 719 942.74
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		2 121 382.41	1 134 578.09
ნეტო ამონაგები		6 172 728.30	3854520.83
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		4 734 394.39	2 668 103.03
საწყისი მარაგი		583 874.86	503 562.80
შესყიდვა		4 654 941.36	2748415.1
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგი		504 421.83	583 874.87
საერთო მოგება		1 438 333.91	1 186 417.80
სხვა შემოსავალი	15.1	241.72	6469.68
არასაოპერაციო შემოსავალი მათ შორის საპროცენტო დასაქმებულთა ანაზღაურება	15.2	10 233.96	2 623.91
		(285 357.20)	(182 328.40)
ცვეთა და ამორტიზაცია		(88 161.00)	(52 744.74)
საპროცენტო ხარჯი	16	(242.00)	(5 344.32)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(141 688.56)	(74 110.07)
სულ საოპერაციო ხარჯები		(504 973.080)	(305 433.940)
საოპერაციო მოგება		933 360.83	880 983.86
არასაოპერაციო ხარჯები (შემოსავლები)			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	17	12 741.92	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(993.73)	(35.01)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		945 109.02	880 948.85
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1 683 493.49	862 027.96
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(211 872.720)	(58 250.320)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		137.41	(1 233.000)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 416 867.20	1 683 493.49

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

	შენიშვნა	საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
		2024	2023	2022
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	431 872.03	28 657.03	5148.14
სავაჭრო მოთხოვნები	2	882 952.47	774 777.37	195388.42
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	4 397.97	53 898.59	5594.77
მარაგები	4	504 421.84	583 874.87	501643
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4.1	918.97	0.00	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 824 563.28	1 441 207.86	707774.33
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	350 735.69	299 263.54	282 724.15
სხვა გრძელვადიანი აქტივები(სესხი)	6	271 451.90	79 615.18	64 991.27
სულ გრძელვადიანი აქტივები		622 187.59	378 878.72	347 715.42
სულ აქტივები		2 446 750.87	1 820 086.58	1 055 489.75
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	7		19 626.04	
სავაჭრო ვალდებულებები	8	15 991.60	21 531.76	105 450.65
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	9			6 000.00
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	10			194.50
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11			
საგადასახადი ვალდებულებები	12	13 892.07	95 434.99	78 926.05
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13			4 591.00
სხვა ვალდებულებები				219.39
სულ ვალდებულებები		29 883.67	136 592.79	195 381.59
სულ ვალდებულებები		29 883.67	136 592.79	195 381.59
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		182.15	182.15	182.15
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14	2 416 685.05	1 683 311.34	859 926.00
სულ საკუთარი კაპიტალი		2 416 867.20	1 683 493.49	860 108.15
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 446 750.87	1 820 086.28	1 055 489.74



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები
2023-2024 საანგარიშო პერიოდი

		2024	2023
მომსახურების გაწევიდან		4 051 345.89	2 719 942.74
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	15	2 121 382.41	1 134 578.09
ნეტო ამონაგები		6 172 728.30	3854520.83

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საწყისი მარაგი		4 734 394.39	2 668 103.03
შესყიდვა		583 874.86	503 562.80
გადამუშავების დანახარჯები		4 654 941.36	2748415.1
საბოლოო მარაგი		504 421.83	583 874.87
საერთო მოგება		1 438 333.91	1 186 417.80

სხვა შემოსავალი

	15.1	241.72	6469.68
დასაქმებულთა ანაზღაურება	15.2	10 233.96	2 623.91
ცვტა და ამორტიზაცია		(285 357.20)	(182 328.40)
საპროცენტო ხარჯი		(88 161.00)	(52 744.74)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(242.00)	(5 344.32)
		(141 688.56)	(74 110.07)

სულ საოპერაციო ხარჯები

(504 973.080) (305 433.940)

საოპერაციო მოგება

933 360.83 880 983.86

არასაოპერაციო ხარჯები (შემოსავლები)

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		12 741.92	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	17	(993.73)	(35.01)

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან

945 109.02 880 948.85

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)

1 683 493.49 862 027.96

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

(211 872.720) (58 250.320)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

137.41 (1 233.000)

კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

2 416 867.20 1 683 493.49

1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული სალაროში - 0 ლარი

ფული ბანკში - 431 872.03 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იჯარის, მომსახურების, სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღები დებიტორული დავალიანებებისგან.

1. იჯარისთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები - 6200.00 ლარი.
2. სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები 746 128.33 ლარი.
3. მომსახურების გაწევიდან - 130 624.14 ლარი.

კომპანია არ მოელის რომ ამ დებიტორულ დავალიანებას ვერ მიიღებს და ანარიცხებს არ აკეთებს.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

ამ მუხლში ძირითადად გაერთიანებულია წინაწარ გადახდილი თანხები კრედიტორებისთვის, რომელიც უკავშირდება მომსახურებების შესყიდვებთან სამშენებლო კონტრაქტების შესრულების განმავლობაში.

4. მარაგები

მარაგები შედგება მზა პროდუქციისგან და სამშენებლო მომსახურების პროცესში გამოყენებადი მასალებისგან. მზა პროდუქციის ნაწილი შედგება საცხოვრებელი ბინებისგან რომელიც წლის ბოლოს ჯერ არ იყო რეალიზებული.

1. დასრულებული ბინების ღირებულება - 389 034.00 ლარი.
2. ნედლეული და მასალები - 115,387.84 ლარი

4.1 სხვა მოკლევადიანი აქტივები

ამ მუხლში შესულია საპენსიო თანხები.

5.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ძირითადად შედგება სატრანსპორტო საშუალებებისგა, საოფისე ინვენტარისგან და სამშენებლო სამუშაოებისას გამოყენებადი მცირეფასიანი ინვენტარისგან. ასევე ლიზინგით შეძენილი ავტომობილისგან.

ქონება	ავტომობილი	საოფისე ინვენტარი	სამშენებლო ინვენტარი	მანქანა დანადგარები	სულ
საწყისი ღირებულება 2023წ	137375	1952	107453	52483	299263
შეძენა 2024 წელი	97464.5		20143	31271	148878.5
ცვეთა 2024 წელი	21859.55	1138.47	49675.98	15487	88161
გაყიდვა/ჩამოწერა 2024 წელი		118	9127		9245
ნარჩენი ღირ-ბა 2024 წელი	212 980	696	68 793	68 267	350 736

6.სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს შპს-ზე გაცემულს სესხს და დარიცხულ პროცენტს. გაცემული სესხის და დარიცხული პროცენტის ნაშთი 2024 წლის ბოლოსთვის შეადგენს 271 451.90 ლარს (სესხის ძირი თანხა - 241 705.56, დარიცხული პროცენტი - 29 746.34) სესხი გაცემულია დაკავშირებულ მხარესთან შპს ლივინ დეველოპმენტი ს/კ 400235027, შპს კაით ენერჯი და ლივინ გრუპი. კონტრაქტებით განსაზღვრულია რომ საპროცენტო ხარჯის გადახდა უნდა მოხდეს პროექტების დასრულების და ძირი თანხის დაფარვის შემდეგ. ამიტომ დარიცხული პროცენტი აღიარებულია გრძელვადიან ვალდებულებად.

ვალდებულებები

7. ფინანსური იჯარის ვალდებულება

2024 წლის ბოლოსთვის კომპანიის ფინანსური იჯარის ვალდებულება არ ჰქონდა.

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს სამშენებლო მომსახურების სამშაოებისას შესყიდული მომსახურების ან მარაგების გადასახდელ ვალდებულებებს.

9. 2024 წლის ბოლოსთვის კომპანიას გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არ გააჩნია.

10. ამ მუხლში შესულია შესაბამისად დარიცხული საპროცენტო მოკლევადიანი ვალდებულებები, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას მსგავსი ვალდებულებები არ გააჩნდა.

11. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას პროექტების მიხედვით. 2024 წლის ბოლოსთვის დავალიანება თანამშრომელთა მიმართ კომპანიას არ გააჩნდა.

12. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებს რომელთა დაფარვა მოხდა მომდევნო საანგარიშო თვეში.

13. გამოუმუშავებელი შემოსავალი

ეს მუხლი შედგება ძირითადად საშენებლო მომსახურების კონტრაქტების მიხედვით მიღებული ავანსებისგან და ბინის რეალიზაციის ავანსისგან. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთი ვალდებულება კომპანიას არ გააჩნია.

14. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი არის დაგროვილი მოგება. დაგროვილი მოგება წარმოქმნილია წინა პერიოდებში მიღებული მოგებისგან. პერიოდულად კომპანია გასცემს დივიდენდებს დამფუძნებელზე რაც ჩანს კაპიტალის მოძრაობის უწყისში.

15. ამონაგები

ამონაგები შედგება შემოსავლებისგან რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო მომსახურებასთან კონტრაქტებთან (დამკვეთებისთვის სამშენებლო მომსახურება). 2024 წლისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო იყო სამშენებლო კონტრაქტების შესრულება და სხვა სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებები.

15.1 სხვა შემოსავალი შედგება კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერით მიღებული შემოსავლებისგან

15.2 ამ მუხლში შედის საპროცენტო შემოსავალი.

16. ხარჯები

კომპანიის ძირითადი ხარჯები დაკავშირებულია სამშენებლო კონტრაქტების შესრულებისას შესყიდულ მომსახურებებზე და ნედლეულზე, ასეთი ხარჯები აისახება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

შრომის ანაზღაურება - 285 357.20 ლარი.

ცვეთა და ამორტიზაციის - 88 161.00 ლარი.

სხვა ხარჯები დაკავშირებულია ადმინისტრაციულ საქმიანობასთან.

შპს კერა +
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	20,477.80
მივლინების ხარჯი	1,272.20
ძირითადი საშუალებები	8,984.40
სოციალური დანარიცხები	20,634.73
საიჯარო ქირა	21,209.32
ძირითადი საშუალებების რემონტი	1,500.00
საგრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1,249.50
ქონების გადასახადი	3,230.67
დაზღვევა	2,958.70
რემონტი	59.32
ავტომობილის რემონტის ხარჯი	2,582.02
საწვავის ხარჯი	4,144.08
ბანკის ხარჯი	1,920.50
სხვა საერთო ხარჯი	2,115.32
ჯარიმები და საურავები	49,350.00
	141,688.56

17. სხვა წმინდა შემოსავალი და ხარჯი

წმინდა შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან - 12 741.92 ლარი.

წმინდა არასაოპერაციო ხარჯი - 993.73 ლარი.